საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/34 **13/12/2023**

რეცენზია ონლაინ სასწავლო უპგ პროგრამაზე

„გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შეფასება და მართვა პირველად ჯანდაცვაში“

მოცემული რეცენზია ეხება „ხარისხის საკონსულტაციო ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილ ონლაინ სასწავლო პროგრამას „გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შეფასება და მართვა პირველად ჯანდაცვაში“.

სასწავლო პროგრამა შემუშავებულია ჩეხეთის კარიტასის პროექტის „პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების ხელშეწყობა“ ფარგლებში, 2023 წელს განახლებული პროტოკოლის და გზამკვლევის საფუძველზე, პირველად ჯანდაცვაში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შეფასებისა და მართვის შესახებ.

მუდმივად განვითარებადი ჯანდაცვის სისტემის პირობებში, სადაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებები (გსდ) კვლავაც ავადობისა და სიკვდილიანობის წამყვანი მიზეზია, პირველადი ჯანდაცვის ექიმების კომპეტენციების გაუმჯობესება გსდ რისკის შეფასებისა და მართვის კუთხით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებები პირველად ჯანდაცვაში მართვად ყველაზე გავრცელებულ პრობლემებს შორისაა. ოჯახის ექიმები და პჯდ სხვა სპეციალისტები ხშირად წარმოადგენენ პირველ კონტაქტს პაციენტებისთვის, რომლებიც მიმართავენ სამედიცინო დახმარებას ამ პრობლემის გამო. გსდ რისკფაქტორების შეფასებისა და რისკის მართვის დეტალების ცოდნა აუცილებელია პრობლემის ადრეული გამოვლენის, პრევენციისა და ეფექტური ჩარევისთვის.

წარმოდგენილი ონლაინ უპგ პროგრამა გვთავაზობს გსდ რისკის შეფასების ინსტრუმენტების, დიაგნოსტიკური მიდგომების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართვის სტრატეგიების ყოვლისმომცველ მიმოხილვას. ეს ცოდნა დაეხმარება პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებს, განახორციელონ გულ-სისხლძარღვთა შემთხვევების ფატალური და არაფატალური რისკის ყოვლისმომცველი შეფასება და მართვა, რომელიც სცილდება მხოლოდ სიმპტომური მკურნალობის ფარგლებს.

სასწავლო პროგრამაში წარმოდგენილია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების 10 წლიანი ფატალური და არაფატალური რისკის შეფასების უახლესი ინსტრუმენტები, როგორიცაა

SCORE2 და SCORE2-OP, რაც დაეხმარება პირველადი ჯანდაცვის ექიმებს მაღალი რისკის პაციენტების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი ჩარევების განხორციელებაში.

პირველადი ჯანდაცვის ხარჯთ-ეფექტურობის გათვალისწინებით, ძალზედ მნიშვნელოვანია მაქსიმალურად ეფექტური სამედიცინო დახმარების მიწოდება შეზღუდული რესურსების პირობებში. წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა ხელს შეუწყობს პირველადი ჯანდაცვის ექიმების პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებას, რათა გულ-სისხლძარღვთა რისკის შეფასებისა და მართვისთვის მაქსიმალურად ოპტიმალურად იქნას გამოყენებული არსებული რესურსები. აღნიშნული ცოდნა ძალზედ მნიშვნელოვანია სადიაგნოსტიკო ტესტების, მედიკამენტებისა და რეფერალის შესახებ, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისას.

მედიცინის სფეროს დინამიური განვითარების გათვალისწინებით, ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია, რათა პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებს ჰქონდეთ წვდომა თანამედროვე მტკიცებულებით სამედიცინო ინფორმაციაზე, რათა ისინი იმყოფებოდნენ გსდ რისკის შეფასებასა და მართვაში უახლესი კვლევებისა და საუკეთესო პრაქტიკის საქმის კურსში, რაც თავის მხრივ, აუმჯობესებს პაციენტების სამედიცინო მომსახურების ხარისხს.

სასწავლო კურსის ონლაინ ფორმატი მოსახერხებელი და მოქნილია პირველადი ჯანდაცვის ექიმებისთვის, რაც არ შეუქმნის მათ დამატებით ბარიერს, დატვირთული სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით. განხილული პრეზენტაციები, კლინიკური შემთხვევები და შესაფასებებლი ტესტ-კითხვარები ხელს შეუწყობს მსმენელის მიერ მასალის გაგებას და პრაქტიკულ გამოყენებას.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, დადებითად ვაფასებთ წარმოდგენილ ონლაინ სასწავლო პროგრამას „გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შეფასება და მართვა პირველად ჯანდაცვაში“ და რეკომენდაციას ვუწევთ მის აკრედიტაციას დადგენილი წესით.

ირინა ქაროსანიძე

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა

კავშირის პრეზიდენტი

Irine Karosanidze 01030002617

Digitally signed by Irine Karosanidze
Date: 2023.12.13 09:34:03